ახალი ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი • 275 (2) 9 თებერვალი, 2015 წ

პირადი კეთილდღეობა თუ ხარაგაულელებზე ზრუნვა?!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული გაზეთი „ახალი ხარაგაული“ უკვე მეშვიდე წელია არსებობს. ამ ხნის განმავლობაში დამოუკიდებელი გაზეთის , „ჩემი ხარაგაულის“ რედაქტორის მხრიდან, მუდმივად გაისმის პრეტენზიები „ახალი ხარაგაულის“ არსებობის კანონიერებასთან დაკავშირებით. გაცნობებთ, რომ 2011 წლის 17 თებერვალს შპს „ჩემმა ხარაგაულმა“ ზესტაფონის სასამართლოში შეიტანა სარჩელი გაზეთის გაუქმების მოთხოვნით. კერძოდ, „ჩემი ხარაგაულის“ რედაქტორი ითხოვდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 იანვარს ა(ა)იპ „ახალი ხარაგაულის“ შექმნის შესახებ მიღებული N6 განკარგულების გაუქმებას და საკრებულოს მიერ 2011 წლის 11 იანვარს მიღებული N19 დადგენილების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც საგამომცემლო საქმიანობისათვის განსაზღვრული 27 ათასი ლარი გადატანილ იქნა ბიუჯეტის ერთი მუხლიდან მეორეში. თუმცა ჯერ ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ, შემდეგ კი ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა. უზენაესმა სასამართლომ კი სარჩელი საერთოდ განსახილველად დაუშვებლად ცნო. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება , არაერთი იურისტის პოზიცია, რომლებიც სავსებით კანონიერად მიიჩნევენ ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გაზეთის დაფუძნებას, ლაურა გოგოლაძის მხრიდან „ახალი ხარაგაულის“ მიმართ პროვოკაციული საუბრები არ წყდება და ყოველი წლის ბიუჯეტის განხილვისას მისთვის ეს საკითხი მეტად ამაღელვებელი ხდება. საინტერესოა, ამ გაზეთისთვის გამოყოფილი თანხის ხარაგაულელებისათვის მოხმარება სურს გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ რედაქტორს თუ პირადი კეთილდღეობის ამაღლება? პასუხი ხარაგაულის საზოგადოებისათვის ცნობილია!!!

„ახალი ხარაგაულის“ მსგავსი გაზეთები საქართველოს ათეულობით მუნიციპალიტეტში იბეჭდება. ძნელი წარმოსადგენია, რომ მხოლოდ ჩვენს რაიონში არიან ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებში ზედმიწევნით გარკვეული ადამიანები. დავიჯერო, დანარჩენი მუნიციპალიტეტები ამ საკითხში გარკვეული და კომპეტენტური პიროვნებების ნაკლებობას განიცდიან? რატომ დგას დღის წესრიგში მუდმივად მხოლოდ „ახალი ხარაგაულის“ დაფინანსების საკითხი? რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ერთი ადამიანის პიროვნულ ინტერესს ემსახურება და სხვა არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. „ჩემი ხარაგაულის“ რედაქტორს კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, თავი დანებოს სხვადასხვა გზით „ახალი ხარაგაულის“ საქმიანობაში უხეშ ჩარევას. ეთიკის ნორმებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, წერტილი უნდა დაუსვას დროისა და ენერგიის ფუჭად ხარჯვას.

რაც შეეხება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციას, რომელიც ხშირად ხდება ლაურა გოგოლაძის მხრიდან განხილვის საგანი, გაზეთმა გაითვალისწინა მთელი რიგი რეკომენდაციები: შეიცვალა გაზეთის ფორმატი, გაზეთი გახდა უფასო, მასში აღარ იბეჭდება რეკლამები და განცხადებები. გაზეთის ტირაჟი საზოგადოების მოთხოვნის ადეკვატურია.

„ახალი ხარაგაული“ ემსახურება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობის ინფორმირებას ადგილობრივი თვითმართველობის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ასევე, უზრუნველყოფს საკრებულოს მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოქვეყნებას. გაზეთი უფასოდ მიეწოდება მოსახლეობას, რაც ერთგვარი შეღავათია იმ ადამიანებისათვის, ვისაც გაზეთის შეძენის და ინფორმაციის უფასოდ მიღების შესაძლებლობა არ გააჩნიათ.

21-ე საუკუნეში კონკურენცია, პირველობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა, მიზანი ყველა შემთხვევაში, სულაც არ ამართლებს საშუალებას.

მოწინააღმდეგის მხრიდან ამდენი შემოტევის მიუხედავად, გაზეთი „ახალი ხარაგაული“ რჩება თავისი მრწამსისა და მასზე მინდობილი საქმის ერთგული.

პატივისცემით,
გაზეთ „ახალი ხარაგაულის“
რედაქტორი ეკა შავიძე

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში მოისმინეს

2 თებერვალს, მორიგი საკრებულოს სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხები განიხილეს. სხდომაზე საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. **ვარლამ ჭიპაშვილის** განმარტებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მუშაობას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ასევე ხელმძღვანელობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით. ბატონმა ვარლამმა, დეტალურად ისაუბრა კომისის სხდომაზე განხილულ საკითხებზე და დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებსაც ამომწურავად უპასუხა. ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ვარლამ ჭიპაშვილმა განაცხადა, რომ გამგეობის საფინასო-საბიუჯეტო სამსახური არ თანამშრომლობს კომისიასთან. ზედიზედ სამჯერ ჩავატარე კომისიის სხდომა და არცერთ სხდომას ამ სამსახურის წარმომადგენელი არ დასწრებია. პრობლემებია დოკუმენტაციის მოწოდებასთან დაკავშირებითაც, დროულად არ ხდება მათი წარმოდგენა. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ბიუჯეტში არსებულ ნაშთზე: „ბიუჯეტში გვაქვს ნაშთი 908 ათასი ლარი, რატომ არ მოხდა ამ თანხის მიმართვა სხვადასხვა პროექტების დასაფინასებლად?“

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **ვლადიმერ გელაშვილმა** აღნიშნა -„წლების განმავლობაში ვმუშაობდი ამა თუ იმ თანამდებობებზე, არავისთან მქონია კომუნიკაციისა და ურთიერთობის პრობლემა. აქ თითქმის ხუთი თაობის წარმომადგენელია, ვისთანაც მიმუშავია და ვერავინ იტყვის, რომ ვინმესთან ცუდი ურთიერთობა მქონდა. საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არ უნდა მიუთითებდეს ნაშთის შესახებ. ვისაც მუშაობის გამოცდილება აქვს ამ კუთხით, მან კარგად იცის რომ ბიუჯეტში ნაშთის დატოვება აუცილებელია. რკინიგზიდან, დეკემბერში, 900 ათასი ლარი შემოვიდა და ამ თანხას დეკემბრის მეორე ნახევარში ვერ გავხარჯავდით. ასევე, არ მახსენდება, რომ რომელიმე კომისიის სხდომას არ დავსწრებოდით, გარდა წინა სხდომისა. ვერცერთ ინფორმაციაზე ვერ იტყვიან, რომ დროულად არ მოგვიწოდებია. დღე და

გაგრძელება ▶ 2 გვ.

წლის ბოლომდე ხარაგაულის მოსახლეობას თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საავადმყოფო ექნება

უკვე რამდენიმე კვირაა ხარაგაულში, სამგლიის სერზე ემერჯენსამბულატორიის მშენებლობა დაიწყო, რომელიც მარტის ბოლოსთვის დასრულდება და მასზე 400 ათასი ლარი დაიხარჯება. სამედიცინო დაწესებულების მშენებლობას ჯანდაცვის სამინისტროს დაკვეთით შპს „აი-სი-ი-ეს“ ახორციელებს. შემდგომ ეტაპზე ამავე ადგილას სტაციონარის მშენებლობა, დაიწყება რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება.

2 თებერვალს გამართულ საკრებულოს სხდომაზე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გივი თხელიძემ, დეპუტატებს გააცნო ინფორმაცია ახალი საავადმყოფოს მშენებლობის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. მისივე თქმით, სამუშაოები ინტენსიურად ხორციელდება და წლის ბოლომდე ხარაგაულის მოსახლეობას კეთილმოწყობილი ამბულატორია და საავადმყოფო ექნება. მისივე განცხადებით, მშენებარე საავადმყოფოს ეზო და მიმდებარე ტერიტორია კეთილმოწყობა. ასევე მოხდება კანალიზაციის სისტემის გამართვა, რომელიც სავარაუდოდ ელისო ჭიპაშვილის, გურამიშვილის, დევდარიანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე გაივლის და ამ ქუჩის მაცხოვრებლებს შესაძლებლობა ექნებათ კანალიზაციის სისტემით ისარგებლონ.

სხდომაზე გივი თხელიძემ დააყენა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ნორმალური ფართით უზრუნველყოფის საკითხი. „ცუდ პირობებში არიან, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების თანამშრომლები. შენობაში, სადაც ისინი იმყოფებიან, წყალი ჩამოდის და გაუსაძლის პირობებში უწევთ მუშაობა. იქნებ უახლოეს მომავალში მოხდეს ამ საკითხზე რეაგირება„-აღნიშნა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

ეკა შავიძე

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში მოისმინეს

◀ 1 გვ.

ღამე მუშაობენ ჩვენი თანამშრომელები და ამ საყვედურს ვერ მივიღებ. საყვედურს რომ იღებ, უნდა იმსახურებდე კიდეც.“

დეპუტატი, **გოგი ლაცაბიძე** დაინტერესდა, რატომ არ მოხდა 2015 წლის ბიუჯეტში გზების დაპროექტებისათვის თანხის გამოყოფა, ეს საკითხი მან კომისის სხდომაზე რამდენჯერმე დააყენა. მისივე თქმით, არ შეიძლება სანერგე მეურნეობის განვითარებისთვის, კერძო პირი ბიუჯეტიდან იღებდეს დაფინანსებას.

საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, 200 ათასი ლარი 2015 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია, როგორც გზების დაპროექტებისათვის ასევე მოვლა-შენახვისთვის. რაც შეეხება სანერგე მეურნეობას, ვლადიმერ გელაშვილის თქმით, გასულ წელს, თანხა, სოციალური პროგრამის განსახორციელებლად გაიცა. პროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახები, გაზაფხულზე ვაზის ნერგებს მიიღებენ. წელს, ამ მიმართულებით, ბიუჯეტში თანხებია გათვალისწინებული, თუმცა ჯერჯერობით არ გაცემულა.

სხდომაზე, დეპუტატი **აკაკი მაჭავარიანი** შპს „2011„-ის დაფინასების საკითხს შეეხო. მისი თქმით, თუ შპს „2011„-ის დაფინასება ადგილობრივი ბიუჯეტიდან წინა წელებში არ შეიძლებოდა, მაშინ წელს რაღატომ მოხდა მისი 24 ათასი ლარით დაფინანსება?

„ბატონო აკაკი, ამ თემაზე საუბრი თქვენს ადგილზე შემრცხვებოდა. ყველამ კარგად იცის, შპს „2011„-ი თქვენზე იყო დამოკიდებული და თქვენ იყავით მისი ფაქტიური მმართველი. ტრაქტორებს ამუშავებედით და ბიუჯეტში ერთი თეთრი არ შემოგქონდათ. სად მიდიოდა ეს თანხები?“ - მიმართა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ვარლამ თავზარაშვილმა აკაკი მაჭავარიანს.

დეპუტატტ **ვარლამ ჭიპაშვილის** ინფორმაციით, წინასაარჩევნო პერიოდში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, შპს „2011„-ის ტრაქტორებით, ხმის მიცემის სანაცვლოდ, მოსახლეობას უფასოდ უხნავდა მიწებს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, თორნიკე ავალიშვილმა ზემოთ აღნიშნული ფაქტები უარყო და ადგილობრივი ხელისუფლებას ადმინისტრაციული ხარჯების არაეფექტურ ხარჯვაზე მიუთითა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, **კობა ლურსმანაშვილის** თქმით, - „ადმინისტრაციული ხარჯი 2010-2011 წლებში 40% იყო, ანუ 9 % -ით მეტი, 2013-2014 წლებთან შედარებით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენ გვყავს იმაზე მეტი დასაქმებული, ვიდრე 2010-2011 წლებში იყო. ადმინისტრაციული ხარჯი, კანონით, 25 %-ით განისაზღვრა და თქვენი საუბარი ადმინისტრაციული ხარჯის მიზანშეწონილობაზე, ბატონო თორნიკე, - უკვე აბსურდია. ათი წელი ემსახურეთ ხარაგაულს და თქვენ მიერ გაკეთებული ღირებული, არაფერი მინახავს. ჩვენ, ორ წელიწადში იმაზე მეტი გავაკეთეთ, ვიდრე ეს თქვენ ათ წელიწადში შეძელით. ასე რომ, რა საკითხზეც უნდა ისაუბროთ და რა საკითხიც უნდა დასვათ, თქვენ მნიშვნელოვნად ლიდერობთ დარღვევებისა და ფულის გადახარჯვის კუთხით.

ამავე საკრებულოს სხდომაზე, დეპუატატებმა დაამტკიცეს თანამდებობების პირთა კუთვნილი შვებულებების განრიგი. გამგებელს თანხმობა მისცეს ზვარის ყოფილი პიონერთა ბანაკის შენობისა და მასზე მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტისთვის დარეგისტრირების თაობაზე. როგორც ცნობილია, გაზაფხულიდან ზვარის ყოფილ პიონერთა ბანაკის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოები დაიწყება. მოეწყობა ახალი კოტეჯები და რეაბილიტაცია ჩაუტარდება ყოფილ ადმინისტრაციულ შენობას.

ეკა შავიძე

გიორგი კიკნაძის მრავალშვილიან ოჯახს საცხოვრებელი ფართი გადაეცა

მოლითის ტერიტორიული ერთეულის სოფელ დეისის მკვიდრის, გიორგი კიკნაძის, მრავალშვილიან ოჯახს პატარა ხარაგაულში, ზაზა გლუნჩაძის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლი გადაეცა. ოჯახისათვის სახლის შეძენა დასავლეთ ევროპის ეპარქიის ფლორენციის წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო ტაძრის მოძღვრის მამა ანდრიას(ლაცაბიძე) ღვთიური ნებით მოხდა. ფლორენციის წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო ტაძართან არსებულმა ხალხური ცეკვისა და სიმღერების ანსამბლმა "ნანილამ" იტალიის რამდენიმე ქალაქში მიტროპოლიტ მამა აბრაამის კურთხევით საქველმოქმედო კონცერტები გამართა. სწორედ კონცერტებიდან შემოსული თანხით განხორციელდა ესოდენ დიდი სიკეთე.

მამა ანდრია, წარმოშობით, ხარაგაულელია. იგი დაიბადა და გაიზარდა სოფელ ნებოძირში. დაამთავრა მოლითის საშუალო სკოლა, რის შემდეგაც სწავლა უნივერსიტეტში განაგრძო. 18 წლიდან დაიწყო მონასტრული ცხოვრება. ხუთი წელია, რაც დასავლეთ ევროპის ეპარქიის ფლორენციის წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო ტაძრის წინამძღვარია.

კიკნაძეების ოჯახისთვის საცხოვრებელი სახლის შეძენაში დიდი წვლილი მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელმა სპარტაკ ლაცაბიძემაც შეიტანა. „მამა ანდრიამ დამირეკა და მითხრა, ერთი ოჯახისათვის სახლის შეძენას აპირებდნენ და ამ ოჯახის შერჩევა დამავალა. კიკნაძეების ოჯახი სოციალურად დაუცველია, მათ მძიმე საცხოვრებელი პირობები ჰქონდათ და ამიტომ გადავწყვიტე არჩევანი მათზე შემეჩერებინა„-აღნიშნა სპარტაკ ლაცაბიძემ.

4 თებერვალს კიკნაძეების ოჯახს სასულიერო პირები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესტუმრნენ, მიულოცეს ოჯახს ახალმოსახლოება და გაიზიარეს მათი დიდი სიხარული. მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მეუფემ მელქისედეკმა (ხაჩიძე) გიორგი კიკნაძის ოჯახი დალოცა და მადლობა გადაუხადა დასავლეთ ევროპის ეპარქიას იმ, მადლისათვის, რაც იმედითა და რწმენით აღავსებს ამ ოჯახის თითოეულ წევრს. „მინდა უპირველესად მადლობა გადავუხადო დასავლეთ ევროპის ეპარქიას და მამა ანდრიას ასეთი მნიშვნელოვანი საქმიანობისათვის. მამა ანდრია, წარმოშობით, ხარაგაულიდანაა. მას არ ავიწყდება თავისი მშობლიური მხარე და ზრუნავს ამ კუთხის შვილების კეთილდღეობაზე. ეკლესია ყოველთვის იყო და იქნება თითოეული ადამიანის გვერდით, რათა მათ სულიერი და ყოფითი ცხოვრება შეუმსუბუქოს. ეპარქიაში ახალი დანიშნული ვარ. დღევანდელი დღე, კარგი დასაწყისია კეთილი საქმეებისათვის. ვულოცავ კიკნაძეების ოჯახს ახალმოსახლეობას. დალოცვილები და დღეგრძელები იყავით“.

მუნიციპალიტეტის გამგებლის კობა ლურსმანაშვილის თქმით, „დედა ეკლესია გვერდით უდგას ადამიანებს, რომელთაც ესაჭიროებათ ყურადღება. ვფიქრობთ, ასეთი ღონისძებები, ადამიანური მიდგომები ეკლესიის მხრიდან გვაძლევს მაგალითს საერო ხელისუფლებაში მყოფ პირებს, მეტი აქტიურობით ვიმოქმედოთ. ადგილობრივი ხელისუფლება კიკნაძეების ოჯახს ბუნებრივი აირის შეყვანაში დაეხმარება. მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე და სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც ვეხმარებით. ამ მიმართულებით წლის განმავლობაში 100 ათას ლარზე მეტი იხარჯება, თუმცა ეს არ არის საკმარისი იმისათვის,რომ პრობლემა მუნიციპალიტეტში სრულად გადაიჭრას. მწამს მომავალში ერთობლივი ძალისხმევით კიდევ მრავალი კეთილი საქმე გაკეთდება.“

ოჯახის დიასახლისმა დიანა კიკნაძემ მადლობა გადაუხადა მამა ანდრიას, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ყველა იმ ადამიანს ვინც წვლილი შეიტანა მათი ოჯახის კეთილდღეობაში.

ეკა შავიძე

მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მეუფემ მელქისედეკმა ხარაგაულში მშენებარე მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძარი მოინახულა

4 თებერვალს მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მეუფემ მელქისედეკმა ხარაგაულში მშენებარე მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძარი მოინახულა. ამავე დღეს მეუფე მელქისედეკი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პედაგოგებს შეხვდა. შეხვედრაზე გიმნაზიის შენობასთან დაკავშირებული პრობლემებზე ისაუბრეს. მეუფე მელქისედეკისა და გამგებლის კობა ლურსმანაშვილის განცხადებით შენობა საჭიროებს აუცილებელ რეაბილიტაციას, ხოლო შესაძლებლობების შემთხვევაში ახალი შენობის აგებას. მათი თქმით, ამ საკითხების მოსაგავარებლად მოლაპარაკებებს სათანადო დაწესებულებებსა და სამთავრობო უწყების ხელმძღვანელ პირებთან აწარმოებენ.

ხარაგაულის კინოთეატრში რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ახალი სპექტაკლის "მთების ბალადას" პრემიერა შედგა

28 იანვარს ხარაგაულის კინოთეატრში რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ახალი სპექტაკლის "მთების ბალადას" პრემიერა შედგა. როგორც სპექტაკლის ავტორი განმარტავს, ეს წარმოდგენა მან ალექსანდრა ჯაფარიძის 120 წლის იუბილეს მიუძღვნა. ალექსანდრა ოჯახში ერთადერთი მთამსვლელი არ ყოფილა. ამ სპორტით დაინტერესებული იყვნენ მისი ძმები სვიმონი და ალიოშა. სვიმონ ჯაფარიძე 1929 წელს თეთნულდზე ექსპედიციის დროს დაიღუპა. სწორედ ამ დღეს, ალექსანდრასა და ალიოშას, ძმის საფლავზე ფიცი დაუდიათ, წლისთავზე თეთნულდს დავიპყრობთო. ერთი წლის შემდეგ, თეთნულდი პირველად ქალმა დაიპყრო და ეს ქალი 35 წლის ალექსანდრა ჯაფარიძე იყო. იზა ვეფხვაძემ საინტერესოდ წარმოადგინა მთებსა და მწვერვალებზე შეყვარებული და - ძმების ცხოვრება, მათთან ერთად გვატარა ყინულოვან მწვერვალებზე. მოგვითხრო მათი ცხოვრების ტრაგედიებსა და გამარჯვებებზე...

სპექტაკლის პრემიერას ესწრებოდა მთამსვლელი ჯაფარიძეების შთამომავალი დამსახურებული ჟურნალისტი ივანე ჯაფარიძე, რომელმაც ძალიან დიდი მადლობა გადაუხადა ქალბატონ იზა ვეფხვაძეს მისთვის ძვირფასი ადამიანებისადმი პატივის მიგებით. ხაზი გაუსვა იმ ღვთიურ ნიჭს, რომლის ძალითაც ქალბატონი იზა იპყრობს მაყურებლის გულს. ნამდილად საოცრებაა მისი ზეპირი მეტყველება, არტისტიზმი.

11 თებერვალს, 17 საათზე აღნიშნული სპექტაკლი, მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით და ორგანიზებით თბილისში გაიმართება. აქვე გაცნობებთ, რომ რამდენიმე ხნის წინ თეატრმა გოდერძი ჩოხელისადმი მიძღვნილი სპექტაკლი მეცხვარეებისათვის შირაქის ველზე აზერბაიჯანის საზღვარზე გამართა. სულ რამდენიმე დღის წინ თეატრის ხელმძღვანელი იზა ვეფხვაძე საქართველოს კულტურის ფონდის და ქართული ერთობის დარბაზის ინიციატივით დაჯილდოვდა პატივგების სიგელით, რომელსაც ხელს აწერენ კულტურის დიდი მოღვაწენი: რეზო ჩხეიძე, მერაბ ბერძენიშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, ომარ მხეიძე და სხვები. თეატრი უახლოეს პერიოდში გამართავს კიდევ ერთი სპექტაკლის პრემიერას ხარაგაულში, ხოლო რაც შეეხება სპექტაკლ" მთების ბალადას", თბილისის შემდეგ იგი საქართველოს არაერთ რეგიონში გაიმართება. სპექტაკლი გაშუქდა საქართველოს ტელევიზიის რამდენიმე არხით, ხოლო 9 თებერვალს 15 საათსა და 30 წუთზე "ობიექტივის" პირდაპირ ეთერში სპეციალური გადაცემა მიეძღვნება.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, 2015 წელს, სოციალური პროგრამების მიმართულებით, ნახევარ მილიონ ლარზე მეტი გაიხარჯება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2015 წელს სოციალური პროგრამების მიმართულებით ნახევარ მილიონ ლარზე მეტის გახარჯვაა დაგეგმილი. გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის, ნანა კიკნაძის ინფორმაციით, მიმდინარე წლის სოციალური პროგრამები შემუშავებულია და მასში ძირითადად იმ პრობლემების მოგვარებაა გათვალისწინებული, რომელიც ხარაგაულის მოსახლეობას ყველაზე მეტად ესაჭიროება.

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისათვის 681, 100 ლარია გათვალისწინებული. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხავა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას. ასევე სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო, ფინანსური და სხვადასხვა სახის დახმარებებისათვის 448, 800 ლარი გაიხარჯება. პროგრამა უზრუნველყოფს ოპერაციებისა და სამედიცინო კვლევების თანადაფინანსებას, ასევე სიცოცხლისათვის საშიში და პროგრესირებადი დაავადების მქონე ავადმყოფების მედიკამენტებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრა ასევე მოიცავს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების დახმარებას, რომლებიც სხვდასხვა მიზეზის გამო განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას, მათ დახმარების სახით ერთჯერად გადაეცემათ არაუმეტეს 500 ლარი. ერთჯერად დახმარებას მიიღებენ 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 18 წლამდე ასაკის პირებიც. 2015 წლის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია უნარშეზღუდული და მძიმე ავადმყოფობის მქონე ბავშვების საკურორტო-სრეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება. შშმ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების გარდა მათთვის ასევე ხორციელდება რიგი ღონისძიებები საზოგადოებასთან ინტეგრაციის, ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. სოციალურად დაუცველი პირთა დაკრძალვის ხარჯები განსაზღვრულია-200 ლარით. აღნიშნული თანხა განცხადების საფუძველზე გადაეცემათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 570 000 არ აღემატება.

ლევკემიით დაავადებულ და ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციარები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან ყოველთვიურად 100 ლარით.

აღნიშნული პროგრამით ხორციელდება სადღესასწაულო დღეებში საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით: უდედმამო ბავშვების, უკიდურესად გაჭირვებულ, დავრდომილ და ინვალიდი მოქალაქეების, იძულებით გადაადგილებული პირების ფინანასური, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა. ასევე მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეებისათვის (9 მაისთან დაკავშირებით) და 1 ივნისს ბავშვთ ა დაცვის საერთაშორისო დღის (შშმ ბავშთა ღონისძიების) ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა. დედისა და ქალთა დღეებთან დაკავშირებით მრავალშვილიან, დავრდომილ, ტერიტორიულ მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა დედების ფინანასური ან მატერიალური მხარდაჭერა.

რაც შეხება მრავალშვილიანთა და ახალშობილთა ოჯახებს, მათ დასახმარებლად მიმდინარე წლის ბიუჯეტში 30 000 ლარია ჩადებული. პროგრამის ფარგლებში, ოჯახს პირველი ბავშვის შეძენისას გადაეცემა -100 ლარი, მეორეზე-200 ლარი, მესამეზე-300 ლარი, მეოთხეზე-400 ლარი, მეხუთეზე-500 ლარი, და შემდგომი ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენის შემთხვევაში-800 ლარი, ხოლო ტყუპების შეძენის შემთხვევაში-500 ლარი.

ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვისათვის 2 000 ლარი გამოყოფილი. დიდი სამამულო ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსება შეადგენს-250 ლარს.

სტიქიით დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დასახმარებლად ამ ეტაპზე 110 000 ლარი გამოყოფილი. სავარაუდოდ წლის ბოლომდე ეს თანხა კიდევ გაიზრდება. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახთა ერთჯერადი დახმარება დაზიანების ხარისხის მიხედვით განისაზღვრება. დაზარალებულების საცხოვრებელს კომისიის წევრები ადგილზე ათვალიერებენ, შეისწავლიან და ანიჭებენ კატეგორიას.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „სათნოების სახლი“, რომელიც 2015 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 90,300 ლარით დაფინასდა. „სათნოების სახლი“ კვირაში კვირაში ექვსი დღე 70 ბენეფიციარს ემსახურება. მათ რიცხვში არიან სოციალურად დაუცველები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, მოხუცები და მრავალშვილიანი ოჯახები.

ეკა შავიძე

აჭარის ტელევიზია სტუმრად ხარაგაულში

26 იანვარს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს აჭარის ტელევიზიისა და ტელე-რადიო გადაცემის „ეთნოფორის“ ავტორი ქეთევან ნაგერვაძე და წამყვანი მიხეილ გაბაიძე, შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ეწვივნენ. ისინი სოფელ კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში ქართული ფოლკლორული ანსამბლის „ოდილას“ წევრებს შეხვდნენ, ამავე ანსამბლის წევრის- სამსონ ავალიშვილის ოჯახში. შეხვედრაზე ხარაგაულის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე და კულტურის ცენტრის დირექტორი ვასილ კიკნაძე იმყოფებოდნენ. ჟურნალისტებმა გადაცემა „ეთნოფორისათვის“ ჩაწერეს ანსამბლი „ოდილა“ და კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი- „უბისი“. „ეთნოფორი“ ფოლკლორული გადაცემაა, რომელშიც საუბარია ხალხურ სიმღერებსა და ქართულ ტრადიციებზე. გადაცემა უპირატესობას ანიჭებს ისეთ ანსამბლებს , რომლებიც თავიანთი სიმღერით გვაკავშირებენ ჩვენს წარსულთან.

გადაცემა „ეთნოფორის“ ავტორის ქეთევან ნაგერვაძის თქმით, „ანსამბლ „ოდილასთან“ შეხვედრა ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფისათვის შთამბეჭდავი იყო. ერთ – ერთი მიზეზი, რატომაც ანსაბლის ჩაწერა გადავწყვიტეთ მათი შემადგენლობაა. იგი უხუცესი წევრებით არის დაკომპლექტებული. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც საკმაოდ კარგად საუბრობენ თავიანთ წარსულზე, შემოქმედებაზე. „ოდილას“ წევრები სამაგალითონი არიან მომავალი თაობისათვის. ვფიქრობ ეს იყო ერთ – ერთი წარმატებული გასვლა საქართველოს რეგიონში. ჩვენს გადაცემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხალხური სიმღერების შესრულების პირველად – ავთენტურ მანერას. ჩვენ ვაცოცხლებთ ხალხური სიმღერის ყოფით სახეს და ის, რომ მოხუცებს ასე უყვართ ხალხური სიმღერა, ჩვენთვის დიდი სტიმულია, მათზე მოვამზადოთ გადაცემა.“

თამარ მაღრაძე

საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები დაიწყო

1 თებერვალს ქალაქ ქუთაისში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, განახლდა სასწავლო პროცესი 2015 წლისათვის სასწავლო კურსებზე და დაიწყო მსმენელთა მიღება საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამების დარგობრივ კურსებზე: საჯარო ორგანიზაციების მართვა; ფინანსური მენეჯმენტი და შიდა აუდიტი საჯარო მოხელეთათვის; სახელმწიფო შესყიდვები; ადამიანური რესურსების მართვა და საქმიანობის წარმოება საჯარო სექტორში. პროგრამა ითავლისწინებს კვალიფიკაციის ამაღლებას იმ პირთათვის, რომლებიც დასაქმებული არიან საჯარო სექტორში. კურსის ხანგრძლივობა შეადგენს ერთ თვეს, რომლის დასრულების შემდეგ მსმენელებს ჩაუტარდებათ გამოცდა და წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მიიღებენ სერტიფიკატს. მაღალმთიანი რეგიონების წარმომადგენლებს კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს სახელმწიფო უფინასებს, ხოლო თითოეულ დანარჩენ პირებზე, მუნიციპალიტეტი იხდის 1200 ლარს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მაღალმთიანი რეგიონების სტატუსით სარგებლობენ სოფლები: ნადაბური, ზვარე, წიფა, ფონა.

ხარაგაულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის , კახაბერ გოლუბიანის ინფორმაციით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს ამ ეტაპზე უფასოდ გადიან იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ გელაშვილი; შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი სპეციალისტი მაია გელაშვილი; გამგებლის წარმომადგენელი ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში ბერიკა ტალახაძე; გამგებლის წარმომადგენელი ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში ზურაბ შუბითიძე, ხოლო მუნიციპალიტეტის დაფინასებით განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, ახალგაზრდულ საქმეთა საკითხების მთავარი სპეციალისტი ლელა მაჭავარიანი.

ფოლკლორული კონცერტი ხარაგაულში

23 იანავარს ხარაგაულის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებულმა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „კახორმა“, ბავშვთა ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „საუნჯემ“ კონცერტი გამართეს. კონცერტს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის მოადგილე, ირაკლი ჭელიძე, ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელი, პოეტი ეთერ თათარაიძე, ხალხური მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი ნანა ვალიშვილი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, გამგებლის მოადგილე პაატა გოგოლაძე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მანანა ბარბაქაძე ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო „ალილოს“ ხალხურ-ლიტერატურული კომპოზიცია, რომელიც ხარაგაულის ხალხური შენოქმედების სახლის ზეპირსიტყვიერების წრის ხელმძღვანელის, თამარ ავალიშვილის, მიერ მომზადდა, ასევე -საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ფოლკლორული სიმღერები და ცეკვები. ღონისძიების დასასრულს ქალბატონმა დალი მაღრაძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს დასწრებისათვის, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და მშობლებს გვერდში დგომისათვის. „მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ადგილობრივ ხელისუფლებას, რადგან თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყოველთვის გვერდში გვიდგანან - ასევე ლოტბარ მაია მაღრაძესა და ქორეოგრაფ რომან ბუაჩიძეს. ანსამბლ „საუნჯესთან“ 17 წელია ვმუშაობ და ერთიანი ძალისხმევით არაერთ წარმატებას მივაღწიეთ. ანსამბლი „საუნჯეს" ბაზაზე შეიქმნა ანსამბლი „კახორი", რომელიც სულ სამი წე-

გაგრძელება გვ.4

ფოლკლორული კონცერტი ხარაგაულში

ლია რაც არსებობს და ძალიან ბევრი წარმატება აქვს. გვყავს ნიჭიერი მომავალი თაობა. თუ უკეთეს პირობებს შეგვიქმნიან, არ მარტო საქართველოში, არამედ ქვეყნის გარეთაც ჩვენი მიღწევები კიდევ უფრო წარმატებული იქნება.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის მოადგილის, ირაკლი ჭელიძის თქმით, რეგიონებში საქართველოს პრემიერ- მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, ინიციატივით დაიწყო ფოლკლორის სახლების მშენებლობა. 2015 წელს ფოლკლორის სახლი გაიხსნება 14 მუნიციპალიტეტში. 2016 წლს კი ფოლკლორის სახლის მშენებლობას ხარაგაულშიც ვგეგმავთ. ამ საკითხზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ჩემი აზრით, რეგიონებში ფოლკლორის სახლების მშენებლობა მნიშვნელოვანია, რათა მომავალ თაობას შემოვუნახოთ ის ქორეოგრაფიული მრავალსახეობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე შექმნეს ჩვენმა წინაპრებმა. დღეს წარმოდგენილი ღონისძიებით დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ხარაგაული დაჯილდოებულია ნიჭიერი ახალგაზრდებით, რომლებსაც

უყვართ ქართული კულტურა, ფოლკლორი და ა.შ. ვფიქრობ, ამ მუნიციპალიტეტში არის რესურსი იმისა, რომ ფოლკლორულმა ანსამბლებმა მომავალშიც წარმატებით იფუნქციონირონ, მით უმეტეს, თუ მათ პირობებს გავუუმჯობესებთ.

კობა ლურსმანაშვილი (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი): დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ დალი მაღრაძეს, ქორეოგრაფს რომან ბუაჩიძეს, ლოტბარს მაია მაღრაძეს, ხალხური ზეპირსიტყვიერების წრის ხელმძღვანელს თამარ ავალიშვილს, ასევე ანასამბლის წევრებსა და ღონისძიებაში მონაწილე თითოეულ ბავშვს. მათი მოღვაწეობა არა მარტო მუნიციპალიტეტისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის მნიშვნელოვანია, რადგან იმ მდიდარ ფოლკლორულ ტრადიციებს, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო, ღირსეულად წარმოაჩენენ და ასევე შეუნარჩუნებენ მომავალ თაობებს. ჩვენ, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას და განვითარებას . 2015 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში კულტურული მიმართულებით საკმაოდ დიდი თანხის გახარჯვაა დაგეგმილი. ა(ა)იპ ხალხურ შემოქმედებითი სახლის დაფინანსება, გასულ წელთან შედარებით საკმაოდ გაიზრდა. მათ ფართიც საკუთრებაში გადაეცათ. მომავალში უზრუნველვყოფთ მის კეთილმოწყობასაც. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს დაგეგმილია ღია ესტრადის, კულტურისა და დასვენების პარკის მოწყობა, ზვარის ახალგაზრდული ბანაკის აღდგენა. ასევე დიდი სურვილი გვაქვს ბიბლიოთეკისა და კულტურის სახლის მშენებლობის.

კონკურსში "ჩემი თვალით დანახული ჭაობი" პირველ ადგილზე ბაზალეთის საჯარო სკოლა გავიდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული „თსუ-ეკო კლუბის“ ორგანიზებით ჩატარდა კონკურსი "ჩემი თვალით დანახული ჭაობი", რომელშიც მონაწილეობას საქართველოს თითქმის ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებდნენ. კონკურსში მონაწილეობდა ბაზალეთის საჯარო სკოლა (დირექტორი იზოლდა ოკრიბელაშვილი), რომელიც დასავლეთ საქართველოს 15 სკოლას შორის პირველი ადგილზე გავიდა.

კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდა. პირველი ეტაპი 31 იანვარს თბილისში თსუ-ს I კორპუსში გაიმართა, სადაც მონაწილეობას აღმოსავლეთ საქართველოს საჯარო სკოლები იღებდნენ, ხოლო მეორე ეტაპი- ქ.ფოთში ივანე ჯავახიშვილის სახელობის N3 სკოლაში დასავლეთ საქართველოს საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის. კონკურსზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის საჯარო სკოლის ეკო კლუბი ხელწოდებით „ბაო“, თემა „საიმედო სავანით“ წარსდგა. ეკო კლუბის „ბაოს“ ხელმძღვანელები, ანა გელაშვილი(ქიმია-ბიოლოგიის პედაგოგი) და ეკეა მესხი (გეოგრაფიის პედაგოგი) გახლავთ, ხოლო კლუბის წევრები- ბაზალეთის საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები: გულნაზ მაქაძე, შოთა თაბაგარი, ნოდარ ღამბაშიძე, ლიკა სიხარულიძე, გიორგი ნანიტაშვილი არიან.

კონკურსის ფინალში 5 ნომინაციაში გამარჯვებული გამოვლინდნენ. გამარჯვებულ ეკო კლუბის წევრებს და პედაგოგ-მასწავლებლებს სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. გამარჯვებულთათვის ასევე საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელშეწყობით კოლხეთის ეროვნულ პარკში მოეწყობა ექსკურსია.

ვაკანსია

გაზეთი „ახალი ხარაგაული“ აცხადებს ვაკანსიას **ჟურნალისტის თანამდებობაზე**. სასურველია დაინტერესებულ პირს ჰქონდეს ჟურნალისტური განათლება ან ამ კუთხით მუშაობის გამოცდილება.

დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: **595-51-98-12 .**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს განკარგულება №8
02თებერვალი 2015 წელი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ზვარის ყოფილი პიონერთა ბანაკის შენობის და მასზე დამაგრებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დარეგისტრირების თაობაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის მე–2 და მე–3 პუნქტებისა და 114–ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაარეგისტრიროს ზვარის ყოფილი პიონერთა ბანაკის შენობა (ფართით 1290.0კვმ) და მასზე დამაგრებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართით 12407.79 კვმ.).

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე
ინგა მაღრაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს განკარგულება №7
02 თებერვალი 2015 წელი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთს 2015 წლის კუთვნილი შვებულებით სარგებლობის განრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის 21 – ე და 22 – ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა 2015 წლის კუთვნილი შვებულებით სარგებლობის განრიგი დანართი №1 – ის შესაბამისად (თან ერთვის)

მუხლი 2. დაევალოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დამტკიცებული განრიგის შესაბამისად საკრებულოს თანამდებობის პირთა კუთვნილი შვებულებით სარგებლობასთან დაკავშირებით გამოსცეს ინდივიდუალი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი (ბრძანება).

მუხლი 3. დაევალოს საკრებულოს აპარატს უზრუნველყოს აღნიშნული განკარგულების შესრულების კონტროლი.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 1 იანვარს წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის " საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ე მუხლით დადგენილი 6 წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე
ინგა მაღრაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს განკარგულება №7
02 თებერვალი 2015 წელი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2014 წელს და მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 37–ე მუხლის მე–2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 26–ე მუხლის მე–2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და კომისიის დებულების მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის მიერ 2014 წელს და მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის " საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე
ინგა მაღრაძე

გამომცემელი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
გაზეთი ა(ა)იპ „ახალი ხარაგაული“.
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25;

რედაქტორი: ეკა შავიძე
ტელ.: 598 90 00 81

სარედაქციო კოლეგია:
თამარ მაღრაძე

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. გაზეთში დაბეჭდილი მასალებისა და სურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რედაქციის თანხმობით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.